მოკლე ინფორმაცია ბლუმბერგის სისტემის შესაძლებლობებზე:

ისევე, როგორც სხვა საფინანსო საინფორმაციო საშუალებები, Bloomberg მსოფლიო საფინანსო და საფონდო ბირჟის ყველა მნიშვნელოვან ასპექტს აშუქებს. მისი ძირითადი პროდუქტია - BloombergTerminal Professional, რომლის მეშვეობითაც პრაქტიკულად ყველა ბაზარზე ხელმისაწვდომია მიმდინარე და ისტორიული ფასები, როგორც საბირჟო, ასევე ბირჟის მიღმა ბაზრებზე.

Bloomberg-ის მეშვეობით ასევე ხელმისაწვდომია, როგორც Bloomberg-ის სააგენტოს, ასევე სხვა წამყვანი მასობრივი საინფორმაციო საშუალებების სიახლეების სტრიქონი, ობლიგაციების და სხვა ფასიანი ქაღალდების ელექტრონული სავაჭრო ისტემები.

ბლუმბერგი ამჟამად მრავალმომსახურებას სთავაზობს მომხმარებელს მათ შორისაა: ფინანსური ანალიზი, ქონებითვაჭრობა, ფინანსური მონაცემები და ინფორმაცია. ყოველივე ეს მომხმარებელს მათი მთავარი პროდუქტის Bloomberg Terminal-ის საშუალებით მიეწოდება.

Bloomberg-ის ძირითადი პროგრამული უზრუნველყოფის შემადგენლობაში შემდეგი ელემენტები შედის: ტექნიკური ანალიზის საშუალებები; მონაცემების გრაფიკული სახით წარმოდგენის საშუალებები; ინვესტიციების ალტერნატიული ვარიანტების შეფასებები; საინვესტიციო პორტფელის ოპტიმალური სტრუქტურის, პროგნოზირების და რისკების მინიმიზაციის მოდელირება.

ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ Bloomberg-ის პროგრამის საშუალებით პირდაპირი წვდომაა შესაძლებელი მსოფლიოს წამყვანი ბირჟების მონაცემთა ბაზაზე.

მის მომხმარებელთა ძირითად წრეს კორპორაციები-ემიტენტები, შუამავალი საფინანსო დაწესებულებები და ინსტიტუციონალური ინვესტორები, ასევე ინვესტიციების და სახსრებისა და აქციების მართვის მენეჯერები წარმოადგენენ.

Bloomberg-ის ისტორია იწყება 1981 წლიდან, როდესაც 10 მლნ დოლარით მაიკლ ბლუმბერგმა შექმნა ახალი კომპანია სახელწოდებით Innovative Market Systems. Bloomberg-ის პირველი უმსხვილესი კლიენტი კონსალტინგური კომპანია Merrill Lynch იყო 1982 წლიდან, დღეს კი მსოფლიოს უმსხვილესი კორპორაციების უდიდესი პროცენტია Bloomberg-ის პროდუქტების მომხმარებელი. 1986 წელს კომპანიას სახელი შეუცვალეს და გახდა Bloomberg L.P. დღეს Bloomberg-ის თანამშრომელთა რაოდენობა მსოფლიო მასშტაბით15 000-ს აჭარბებს. Bloomberg-ს 72 ქვეყანაში აქვს 192 ოფისი.ამასთანავე ფინანსური ბაზრების 320 000-ზე მეტი პროფესიონალი მონაწილე იყენებს Bloomberg Professional სერვისს. კომპანია Bloomberg L.P. დაახლოებით 22.5 მილიარდ აშშ დოლარადაა შეფასებული.

კომპანია Bloomberg L.P.-სა და **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობის შედეგად აღმოსავლეთ ევროპაში Bloomberg-ის მეორე (კაუნასის უნივერსიტეტის შემდეგ) საერთაშორისო სასწავლო კვლევითი ლაბორატორია იხსნება.**

Bloomberg თსუ-ში ფინანსური ბაზრების ლაბორატორიას ხსნის. ფინანსური ბაზრების ლაბორატორია არის მსოფლიოს წამყვანი, ფინანსური ინფორმაციის მიმწოდებელ კომპანია Bloomberg-სა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის შედეგი.

ლაბორატორიაში სტუდენტებს, პროფესორებს, მკვლევარებს ექნებათ წვდომა საინფორმაციო პლატფორმაზე - Bloomberg Professional, რომელსაც იყენებს 320 ათასზე მეტი ბიზნეს ლიდერი და ფინანსური პროფესიონალი მსოფლიოში. Bloomberg-ის ლაბორატორიით მიიღებს სარგებელს ბიზნეს და სამთავრობო ორგანიზაციები. სტუდენტები, რომელიც იმუშავებენ ამ პლატფორმასთან გათვითცნობიერებული იქნებიან უახლეს ტენდენციებში, რომელიც ხდება ფინანსურ ბაზრებზე. მიიღებენ იმ ცოდნას, რომელიც აუცილებელია პროფესიონალისათვის ფინანსურ ბაზრებზე, ამასთანავე, მკვლევარ სტუდენტებს ექნებათ წვდომა ინფორმაციის მსოფლიო ბაზაზე, რადგან საჯარო ინფორმაციის წყაროები ზოგჯერ საკმაოდ შეზღუდული და რთული მოსაძიებელია.

მსგავსი ლაბორატორიები გააჩნიათ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებს, მაგალითად ჰარვარდის უნივერსიტეტს. ის წარმოადგენს შესაძლებლობას ბიზნეს და საჯარო სექტორის ორგანიზაციებისთვის მოახდინონ ახალი სამუშაო ძალის ადაპტაცია, რომლებიც მზად არიან გლობალური ეკონომიკური გამოწვევებისთვის და ფლობენ ბევრ პრაქტიკულ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ხდება ბაზრებზე.

მსოფლიო საფინანსო ბაზარზე ორი კომპანია ახორციელებს სავალუტო,საფინანსო და სასაქონლო ბირჟებზე მუშაობის ელექტრონულ პროგრამულ უზრუნველყოფას -ბლუმბერგი (Bloomberg) და როიტერსი (Reuters).

კომპანიაBloomberg-მა შექმნა სპეციალური დამხმარე პროგრამა პროფესიული უმაღლესი სასწავლებლებისათვის - Bloomberg Education - რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტში პროფესიული „დილინგ რუმის“შექმნას 12 ტერმინალის ბაზაზე. ეს მისცემს უნივერსიტეტს საშუალებას რეალურ რეჟიმში ასწავლოს სტუდენტებს საბირჟო ოპერაციების წარმოება და ხელი შეუწყოს მათ განხორციელებაში. ასევე,სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სისტემების დანერგვითუნივერსიტეტი მიიღებს საშუალებას მოიზიდოს სტუდენტები რიგი რეგიონიდან (სომხეთი, აზერბაიჯანი) და საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან. შესაბამისად, უნივერსიტეტიმიიღებსფინანსურ სარგებელსაცBloomberg-ის სასწავლო ლაბორატორიის შექმნით.ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია პოტენციალი იქცესცენტრად საერთაშორისო ფინანსური, სავალუტო და სასაქონლო ბაზრების სწავლებისთვის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე სამხრეთ კავკასიაშიც.

მას შეუძლია მოამზადოს საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და სასაქონლო ბირჟების (სხვადასხვა მიმართულებით -სავალუტო, საფინანსო, ნავთობი, მეტალები, სოფლის მეურნეობის პროდუქტები და სხვა) სპეციალისტები, განახორციელებინოს მათ ოპერაციები რეალური დროის რეჟიმში. აღნიშნული იძლევა შესაძლებლობას მოხდეს მსოფლიო ბაზარზე არსებული სიტუაციის კვლევა და ანალიზი,განისაზღვროს მომავალი პერსპექტივები, გაკეთდეს დასაბუთებული პროგნოზები, როგორც სავალუტო ისე

სასაქონლო,ფინანსურ და ფულის ბაზრებზე.ეს არის შესაძლებლობა - სტუდენტებისათვის მომზადდეს კვლევითი თემები და წარუდგინონ ისინი დაინტერესებულ პირებს, საფინანსო ორგანიზაციებს, ბანკებს, ასევე სპეციალური შეკვეთით მოახდინონ ბაზრის შესწავლა.

Bloomberg-ის ფინანსური ბაზრების ლაბორატორია არის პირველი რეალური შესაძლებლობა საქართველოში ოპერირებადი კომერციული ბანკებისა და სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტებისათვის, ასევე უნივერსიტეტებისათვის ადგილობრივ დონეზე მოამზადონ ინვესტირების სპეციალისტები უმაღლესი კვალიფიკაციით.

აქვე Bloomberg-ის საერთაშორისო კვლევითი ლაბორატორია საშუალებას მისცემს ჩვენს პროფესორ - მასწავლებლებს (ეკონომისტებს, იურისტებს, მათემატიკოსებს, ჟურნალისტებს) ჩაერთონ საერთაშორისო ბაზრის კვლევებში, საერთაშორისო ბაზრების მენეჯმენტში, გამოიკვლიონ ბაზრის თანამედროვე ტენდენციები, ტრენდის ცვლილებები, ტრენდის ცვლილებების მიზეზები, თავისებურებები, მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია, გაუზიარონ ის თავის კოლეგებს, მოაწყონ ამის ბაზაზე კონფერენციები, დაამუშაონ და მოიზიდონ გრანტები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ და პირდაპირი პროფილით, რეალურ უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით მოამზადონ სპეციალისტები დილინგის, ინვესტირების, ბანკების, საფინანსო და სადაზღვევო კორპორაციებისათვის.

ლაბორატორია განთავსდა თსუ-ს მაღლივ კორპუსში. გახსნის ოფიციალური ღონისძიება ჩატარდება 2016 წლის 19 სექტემბერას, 16:00 საათზე, თსუ-ს მაღლივ კორპუსში (უნივერსიტეტის ქ. #2), მე-2 სართულზე.